საქართველოს მთავრობის

დადგენილება №659

2020 წლის 3 ნოემბერი

ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2020, 470230000.10.003.022034) და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“:

1. მე-6 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) რესტორნების/ბარების/კაფეების ფუნქციონირებისა 22:00 საათიდან 07:00 საათამდე.“.

2. 16^3 მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. 16^4 მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 4 ნოემბრის 22:00 საათიდან.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**